საერთაშორისო ორგანიზაციების როლი რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში
(შესაძლებლობები ამოცანების პირისპირ)

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.24

კახაბერ შპეტიშვილი
პირველი ქვეითი ბრიგადის მე-14 შერეული
ჯავშანსატანკო ბატალიონის მეთაური
Kakha.shpetishvili@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/**0009-1009-4853**

სოსლან ბერიძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკოსი
Sosoberidze01@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/**0009-0000-4267-8723**

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხმიანება რუსეთ-უკრაინის მიმდინარე საომარ კონფლიქტს და წარმოადგენს აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობის ანალიზს. ნაშრომი იკვლევს საერთაშორისო ორგანიზაციების ხელთ არსებულ ბერკეტებს, რომელთა ძირითადი დანიშნულება სამშვიდობო პროცესების სტიმულირებაა. ასევე, მოცემულია ამ ბერკეტების შეპირისპირება რეალპოლიტიკის პარადიგმასთან. სტატიაში რუსეთის ქცევის სპეციფიკა ახსნილია, როგორც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე გაფართოების წინააღმდეგ მიმართული ქმედება, ნაკარნახევი საკუთარი სტრატეგიული უსაფრთხოების დილემით. ნაშრომში რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მაგალითზე გამოკვეთილია ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა არსებობა ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურ ოპერირებას და ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, მოახდინონ პოზიტიური ზეგავლენა დიდი ძალების ქცევის დინამიკაზე და გახდნენ ძირითადი კონტრიბუტორები ხანგრძლივი და სტაბილური მშვიდობის მიღწევის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ორგანიზაციები, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, ინსტიტუციური ლიბერალიზმი, თავდასხმითი რეალიზმი, სტრატეგიული რეალიზმი

The Role of International Organizations in the Process of Resolving the Russian-Ukrainian Conflict
(Opportunities Versus Challenges)

Kakhaber Shpetishvili
Commander of the 14th Mixed Armored Battalion
of the 1st Infantry Brigade
Kakha.shpetishvili@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/**0009-1009-4853**

Soslan Beridze
Ministry of Defense of Georgia, Analyst
sosoberidze01@gmail.com
ORCID ID: https://orcid.org/**0009-0000-4267-8723**

Abstract

The article examines the ongoing Russia-Ukraine military conflict and analyzes the effectiveness of international organizations in facilitating a peaceful resolution. It explores the mechanisms and tools available to these organizations for promoting peace-building initiatives and contrasts them with the principles of realpolitik. Russia's actions are analyzed as a response to the eastward expansion of NATO, which is driven by its strategic security concerns. Using the Russia-Ukraine conflict as a case study, this analysis highlights key challenges that limit the effectiveness of international organizations in promoting constructive behavior among great powers. The mentioned limitations undermine the ability of such organizations to contribute significantly to achieving long-term and stable peace.

Keywords: International Organizations, Russia-Ukraine Conflict, Institutional Liberalism, Offensive Realism, Strategic Realism

შესავალი

საბჭოთა კავშირის რღვევამ და ცივი ომის დასრულებამ არსებული საერთაშორისო სტრუქტურისთვის განსხვავებული რეალობის წარმოქმნას ხელი შეუწყო. გლობალური სისტემის აქტორთა შორის ძალთა ბალანსი ახლებურად

გადანაწილდა და ნაცვლად აქამდე არსებული ბიპოლარული საერთაშორისო სტრუქტურისა, უნიპოლარულ სტრუქტურად გარდაისახა. ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სუპერ ძალა, აქტიურად შეუდგა ყოფილი საბჭოთა კავშირის ზეგავლენისგან ახლად განთავისუფლებულ სახელმწიფოებში ლიბერალური ფასეულობების კულტივირებას. ამგვარმა ქმედებამ მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე საერთაშორისო ორგანიზაციების როლის და გავლენების ზრდა გამოიწვია. აღნიშნულმა გარემოებამ გარკვეულ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში გააჩინა პოზიტიური მოლოდინი საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობების მიმართ, სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების პრევენციის უზრუნველსაყოფად. მართალია, ცივი ომის დასრულების შემდგომ განვითარებული მოვლენები ერთის მხრივ ლიბერალური თეორიების უპირატესობად და რეალ-პოლიტიკის ძირითად დაშვებათა სისუსტედ შეიძლება იქნეს აღქმული, მაგრამ მეორეს მხრივ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტურობის ანალიზი აღნიშნული მსჯელობის ვალიდურობას ეჭვქვეშ აყენებს და ბადებს კითხვას- რამდენად ქმედითია საერთაშორისო ორგანიზაციების ხელთ არსებული მექანიზმები რუსეთის მსგავს დიდ ძალებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოსახდენად?

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მიზეზები შედეგების პირისპირ

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პერიოდში რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები ერთობ კომპლექსურ მოცემულობას წარმოადგენს. სახეზეა, საწყის ეტაპზე საკუთარი შიდა პოლიტიკური და მწვავე ეკონომიკური პრობლემებით დასუსტებული კრემლის შედარებით რბილი საგარეო პოლიტიკის ძირითადი ვექტორის ტრანსფორმაცია, გაცილებით პრინციპულ და მკაცრ მიდგომად, რომელმაც მოსკოვის მიერ შიდა და გარე სარბიელზე პოზიციების გამყარების პარალელურად კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ერთის მხრივ, რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში უკრაინაზე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრ სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიულ გიგანტზე კონტროლის დაკარგვა ერთგვარ პოლიტიკურ მარცხად იქნა აღქმული,[304] ხოლო მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ ფლანგზე ნატოს შესაძლო გაფართოების დაშვება და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაწევრიანების პერსპექტივა წინააღმდეგობაში მოვიდა კრემლის ეროვნულ ინტერესებთან და გააძლიერა სტრატეგიული უსაფრთხოების დილემა. მართალია, ბორის ელცინმა 1990 წლის ნოემბერში, უკრაინის დედაქალაქში გამართულ საჯარო გამოსვლაში

[304] ბზეჟინსკი, ბზიგნევ. 2014. *დიდი საჭადრაკო დაფა.* თბილისი: არტანუჯი.

გაკეთებული განცხადებით გამორიცხა მოსკოვის მიერ ახალ იმპერიად გადაქცევის სურვილი, რადგან ისტორიული პერსპექტივიდან, ამგვარ მცდელობას ქვეყნისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია (ბზეჟინსკი, 151), მაგრამ, რუსეთის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის, იგორ აბრამოვიჩის მიერ, 1993 წელს გაკეთებული განცხადება, სადაც ის პოსტ საბჭოთა სივრცეში კრემლის ექსკლუზიური ზეგავლენის უფლებებზე საუბრობდა განსხვავებული რეალობის განცდას ტოვებს. აღნიშნული ნარატივის გაგრძელებაა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანდრეი კოზირევის მიერ 1994 წელს გაკეთებული განცხადება, სადაც კოზირევი ისტორიულად რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიებზე სამხედრო ელემენტების შენარჩუნების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას. რეგიონში მოსკოვის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს საუკეთესოდ წარმოაჩენს ელცინის მიერ, 1995 წელს გამოცემული ბრძანებულება დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის მიმართ კრემლის პოლიტიკის შესახებ, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მოსკოვის საგარეო პოლიტიკური მიზნები და აღნიშნულია, რომ დსთ-ს მიმართ კრემლის პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წევრი სახელმწიფოების, რუსეთის- როგორც წამყვანი ძალის ირგვლივ კონსოლიდირება წარმოადგენს.[305]

ვლადიმერ პუტინის ქვეყნის სათავეში მოსვლით ახლო სამეზობლოში მოსკოვის საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო ხისტი და პრინციპული გახდა. ელცინის დროს გაბატონებული ერთგვარი კვაზიდემოკრატიული პოლიტიკური ელიტა ჩაანაცვლა ძალამ, რომელიც ნაკლებად ემხრობოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკურ სარბიელზე ჰუმანურ მიდგომებს.[306] კრემლი, ერთის მხრივ 2002 წელს შექმნილი ნატო-რუსეთის საბჭოს მეშვეობით დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას აანონსებდა და ხაზს უსვამდა, რომ აღარ აღიქვამდა ალიანსს მტრად. მეორეს მხრივ, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოებისადმი სწრაფად პროგრესირებად რეზისტენტულობას ავლენდა, რაც ქმნიდა საფუძვლიან ეჭვს, რომ დასავლეთის მიმართ მოსკოვის შეცვლილი რიტორიკა მოჩვენებითი იყო, რომლის ძირითად მიზანს საერთაშორისო სისტემის აქტორთა დეზორიენტირება წარმოადგენდა. The Wall Street Journal-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის აღწერისას ფრიად საინტერესო შედარება შემოგვთავაზა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა, სადაც ის იხსენებდა თუ როგორ დაინახა

[305] Charap, S. and Colton, T. 2016. *Everyone Loses: The Ukraine Crisis and the Ruinous Contest for Post-Soviet Eurasia.* London: International Institute for Strategic Studies.

[306] Kovalev, Andrei. 2017. *Russia's Dead End: An Insider's Testimony from Gorbachev to Putin.* Lincoln: Nebraska Press.

პუტინის თვალებში სამი რამ- K, Г და Б.[307] 2007 წელს რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე ასევე აღდგა სტრატეგიული ავიაციის საპატრულო ფრენები, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისიდან შეჩერებული იყო.[308] მნიშვნელოვან გზავნილებს შეიცავს იმავე წელს პუტინის მიერ მიუნხენის უსაფრთხოების პოლიტიკის კონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, სადაც მან დასავლეთი მკაცრად გააკრიტიკა და რუსეთისადმი მისი დამოკიდებულება ცივი ომის დროინდელი აზროვნების შედეგად ნაკარნახევ მიდგომას შეადარა. კრემლის შიში კიდევ უფრო გააღრმავა ნატოს ეგიდით ბუქარესტში გამართულ სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში უკრაინისთვის MAP-ის არ მინიჭების საპირწონედ გაკეთებულმა ჩანაწერმა, სადაც ხაზგასმულია, რომ უკრაინა აუცილებლად გახდება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი.

უკრაინაში 2013 წლის ბოლოს განვითარებული პოლიტიკური პროცესების შედეგად ქვეყნის სათავეში პრო-კრემლისტური ძალები დასავლეთთან დაახლოების მომხრე პოლიტიკურმა ჯგუფმა ჩაანაცვლა. შექმნილი გარემოება მოსკოვმა საფრთხედ აღიქვა და განახორციელა არაპირდაპირი ჩარევა უკრაინის აღმოსავლეთ რეგიონებში მოქმედი სეპარატისტული ძალების მხარდასაჭერად, რომელიც საბოლოოდ კიევის მიერ ლუგანსკის და დონეცკის ოლქების დიდ ნაწილში კონტროლის დაკარგვით დასრულდა. არასახელმწიფოებრივი ძალები გააქტიურდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზეც და რუსეთის ფედერაციის რეგულარულ სამხედრო შენაერთებთან ერთად მოკლე დროში შეძლეს ნახევარკუნძულიდან უკრაინის სამთავრობო ძალების გაძევება. 2014 წლის 16 მარტს გამართული უკანონო რეფერენდუმის საფუძველზე ე.წ. ყირიმის უმაღლესმა საბჭომ გამოსცა დადგენილება დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და თხოვნით მიმართა რუსეთის ფედერაციას საკუთარ საზღვრებში ყირიმის მიღების შესახებ. არ დააყოვნა კრემლის პასუხმაც. რუსეთის ლიდერმა, გამოცემული ბრძანება N147-ის საფუძველზე ყირიმის რესპუბლიკა დამოუკიდებელ ერთეულად აღიარა. ხოლო იმავე წლის 21 მარტს გამოსცა ბრძანება N168, ძალით რუსეთის ტერიტორიაზე ყირიმის ავტონომიური ოლქის ფორმირების პირობები ჩამოყალიბდა. ზემოაღნიშნულმა ხელი ვერ შეუშალა უკრაინის დასავლეთთან ინტეგრაციის სწრაფვას. ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო აქტიურად გააგრძელა ნატოსთან და ევროკავშირთან

[307] Calmes, Jackie. 2007. ,,Mccain Sees Something Else in Putin's Eyes''. 16 October, 2007. The Wall Street Journal. http://www.wsj.com/articles/BL-WB-3322. (წვდომა 24.03.2023).

[308] Kelley, Donald. 2016. *Russian Politics and Presidential Power: Transpormational Leadership from Gorbachev to Putin.* Los Angeles: CQ Press.

დაახლოების პროცესი. მოცემულობა წინააღმდეგობაში მოვიდა კრემლის ეროვნულ ინტერესებთან. აღნიშნულის პასუხად მოსკოვმა 2022 წლის 24 თებერვალს წამოიწყო ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაციის საფარქვეშ შენიღბული პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია უკრაინის წინააღმდეგ.

ამრიგად, განვითარებულ მოვლენათა ქრონოლოგიის სპეციფიკა მიუთითებს , რომ ახლო სამეზობლოსთან რუსეთის საგარეო პოლიტიკა, გლობალურ სისტემაში პოზიციების გამყარების პარალელურად უფრო ხისტი და თანმიმდევრული ხდება. კრემლი საფრთხედ აღიქვამს ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების სწრაფვას და ცდილობს დაუპირისპირდეს მას. უკრაინაზე კონტროლი მოსკოვისთვის სტრატეგიული უსაფრთხოების ჭრილში უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. რუსეთი ერთგვარი დატესტვის მეთოდით ცდილობს შეამოწმოს საერთაშორისო სისტემა, რათა მიიღოს სტრატეგიული ინფორმაცია და გამოარკვიოს რამდენად შორს ,,წასვლის'' საშუალებას მისცემენ მას სხვა აქტორები. მხოლოდ რეგიონული ჰეგემონიის მიღწევაა ის გარემოება, რომელიც კრემლს მისცემს საშუალებას უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. უკრაინაზე კონტროლის დაკარგვით კრემლის მიერ რეგიონული ჰეგემონიის მიღწევის შანსი დაუშვებელ ნიშნულამდე მცირდება.

საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთის უკრაინული ინტერესების წინააღმდეგ

მართალია, რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მოქმედებები კვლავ გრძელდება და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარებაზე ჯერ საუბარი ნაადრევია, მაგრამ კონფლიქტის ცხელი ფაზის დაწყებიდან გასული დროის არც თუ მცირე მონაკვეთი და ის კოლოსალური მსხვერპლი და ნგრევა, რომელიც აღნიშნულმა კონფლიქტმა უკვე მოიტანა, შემდგარ ფაქტს წარმოადგენს და გარკვეული დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა იმ არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ გაწეული კონტრიბუციის ეფექტურობის შესახებ, რომელიც სწორედ მშვიდობის დამყარებას ისახავდა მიზნად.

კრემლის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულზე შეჭრის ფაქტმა შექმნა საშიში პრეცედენტი ერთი სუვერენული აქტორის მიერ, მეორე სუვერენული აქტორის საერთაშორისო სამართლის ნორმებით აღიარებული ტერიტორიის მიტაცების, რომელიც ევროპის კონტინენტზე მე-2 მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღარ მომხდარა. განვითარებული მოვლენების საპასუხოდ, გაეროში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა იური სერგეევმა მიმართა უშიშროების საბჭოს პრეზიდენტს და გაეროს წესდების, 34-ე და 35-ე მუხლების, შესაბამისად უშიშროების საბჭოს მოწვევა

მოითხოვა. უშიშროების საბჭოზე წარდგენილ, უკრაინის სუვერენიტეტის მხარდამჭერ რეზოლუციის პროექტზე შეთანხმება ვერ შედგა რუსეთის ფედერაციის საწინააღმდეგო პოზიციის გამო. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღებით დასრულდა 2014 წლის 27 მარტს გამართული გაეროს გენერალური ასამბლეის მე-80 პლენარული სხდომა. რეზოლუციაში ყირიმში გამართული რეფერენდუმი სამართლებრივ ჩარჩოს მოკლებულ აქტად შეფასდა და გამოიხატა უკრაინის სუვერენიტეტისადმი ურყევი ერთგულება(A/RES/68/262).

კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდასაჭერად, საწყის ეტაპზევე, ჩაერთო ევროკავშირი. ევროპარლამენტის მიერ 2014 წლის 13 მარტს მიღებულ რეზოლუციაში რუსეთის მიერ ყირიმში შეჭრის ფაქტი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევად და სუვერენული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფად შეფასდა. ევროპარლამენტმა მოსკოვი ბუდაპეშტის სამიტზე აღებული ვალდებულებების უგულებელყოფაში დაადანაშაულა და მოუწოდა დაუბრუნდეს სამშვიდობო ფორმატს. კიდევ უფრო მკაცრი იყო ევროპარლამენტის მიერ, იმავე წლის, 17 აპრილს მიღებული რეზოლუცია, რომელმაც 33 პუნქტი მოიცვა. ევროპარლამენტმა მკაცრად დაგმო აღმოსავლეთ უკრაინაში და ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის ქმედებები, კიდევ ერთხელ მოუწოდა მოსკოვს კონსტრუქციულ ჩარჩოებში დაბრუნებისკენ და განვითარებული მოქმედებების შედეგად რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესება დასაშვებად მიიჩნია. 2014 წლის 31 ივლისს, ევროკავშირის მიერ რუსეთისთვის დაწესდა ეკონომიკური სანქციების პირველი პაკეტის, რომელიც შეეხო 37 ორგანიზაციას და 152 ფიზიკურ პირს.

განვითარებული მოვლენების მიმართ საკუთარი პოზიცია გამოხატა ევროპის საბჭომაც. საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1990 (2014), სადაც მოსკოვის ქმედებები შეფასდა როგორც ევროპის საბჭოს მთავარ პრინციპებთან წინააღმდეგობაში მყოფი მოცემულობა. ევროპის საბჭომ მოუწოდა რუსეთს პატივი სცეს აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და ევროპის საბჭოს წესდების მე-3 თავის მოთხოვნების შესრულებისკენ მოუწოდა.

კონფლიქტის დეესკალაციის კუთხით, მნიშვნელოვანი ძალისხმევა გასწია ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციამ. ეუთოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა სამმხრივი საკონტაქტო ჯგუფი(TCG), რომელსაც იდეაში დაპირისპირებულ მხარეთა შორის დიალოგის გაღრმავებისთვის უნდა შეეწყო ხელი. 2014 წლის სექტემბერში, ქალაქ მინსკში შედგა დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეხვედრა, სადაც მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტაზე და ხელი მოაწერეს 12

პუნქტისგან შემდგარ ,,მინსკის პროტოკოლი''-ს სახელით ცნობილ დოკუმენტს. აღნიშნულ შეთანხმებას დაერთო კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომელიც პოლიტიკურ წრეებში ცნობილია, როგორც ,,მინსკის მემორანდუმი''. მემორანდუმმა 9 პუნქტი მოიცვა და განსაზღვრა ცეცხლის შეწყვეტის პრინციპები და კონტროლის ზომები(TCG 2014). შეხების ხაზზე განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმმა პრაქტიკაში ვერ იმუშავა. იგივე ბედი გაიზიარა მინსკის ფორმატში გამართულმა სხვა შეხვედრებმაც.

2022 წლის 24 თებერვალი რუსეთს და დასავლეთს შორის ახლებური ურთიერთგააზრების საწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ. სპეციალური სამხედრო ოპერაციის საფარქვეშ, უკრაინაში შეჭრით, მოსკოვი კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა არსებულ მსოფლიო წესრიგს. განვითარებული მოვლენების პასუხად საერთაშორისო ორგანიზაციებმა სწრაფად გამოავლინეს რეაქცია და მიმართეს ძალისხმევა კონფლიქტის კონსტრუქციულ ჩარჩოში გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

გაეროს უშიშროების საბჭოს 8979-ე სხდომაზე კვლავ ვერ მოხერხდა პოზიციების შეჯერება. საბჭოს მუდმივი წევრი- რუსეთი არ დაეთანხმა რეზოლუციის ტექსტს, სადაც მკაცრად იყო გაკრიტიკებული მოსკოვის მიერ უკრაინის სუვერენიტეტის დარღვევის ფაქტი და კრემლს საბრძოლო მოქმედებების დაუყოვნებელი შეწყვეტისკენ მოუწოდებდა. 2022 წლის 1 მარტს გამართულ გაეროს გენერალური ასამბლეის მე-11 რიგგარეშე სხდომაზე მიღებული რეზოლუციაში მკაფიოდ გაჟღერდა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ გაეროს მტკიცე ერთგულების შესახებ. გენერალურმა ასამბლეამ მკაცრად დაგმო რუსეთის ქმედებები და ის გაეროს ქარტიის დარღვევაში დაადანაშაულა. თითქმის იდენტურ ნარატივს იმეორებდა გენერალური ასამბლეის მიერ, შემდგომ პერიოდში მიღებული (ES,11/2), (ES-11/3),(ES-11/4), (ES-11/5) და (ES-11/6) რეზოლუცია.

უკრაინის მიმართ რუსეთის სამხედრო აგრესიას ევროკავშირმა 2022 წლის პირველ მარტს ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციით (2022/2564(RSP)) უპასუხა. ევროკავშირმა მოსკოვი საერთაშორისო ნორმების დარღვევაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და საბრძოლო მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტისკენ მოუწოდა. სანქციაში გაიწერა რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გაფართოების აუცილებლობა, რომლის ჩარჩოში რუსულ და ბელარუსულ ბანკებს აეკრძალათ ევროპის ფინანსურ სისტემაზე წვდომა. საინტერესო გზავნილებს შეიცავს მომდევნო წელს ევროპარლამენტის ეგიდით მიღებული რეზოლუცია (2022/3017(RSP)). დოკუმენტში, უკრაინის სუვერენიტეტისადმი მტკიცე მხარდაჭერის გამოხატვის პარალელურად საუბარია სპეციალური ტრიბუნალის შექმნის

აუცილებლობაზე, რომელიც სამართლებრივ ახსნას მისცემს რუსეთის მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებს. მოსკოვის ქმედებები მკაცრად დაგმო და უკრაინელ ხალხს თანადგომა გამოუცხადა ევროპულმა საბჭომ. 2022 წლის 25 მარტს საბჭოს მიერ მიღებულ დასკვნაში გაკრიტიკებულია კრემლის არამართლზომიერი ქმედებები და დაფიქსირებულია მზაობა უკრაინისთვის ეკონომიკური დახმარების გასაწევად. აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების დაწყებიდან ერთი წლის თავზე ევროპული საბჭოს ეგიდით, რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციები საკმაოდ კომპლექსური და მრავლისმომცველი გახდა.

მიმდინარე მოვლენებს არ ჩამორჩა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC). 2023 წლის 17 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით სავარაუდო სამხედრო დანაშაულების გამო სასამათლომ გასცა რუსეთის პრეზიდენტის და ბავშვთა უფლებების კომისრის დაკავების და სასამართლოსთვის წარდგენის ორდერი (რადიო თავისუფლება 2023).

ერთსულოვანი იყო საკუთარ გადაწყვეტილებაში ევროპის საბჭო. 2022 წლის 25 თებერვალს გამართულმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთის ფედერაციას წევრობა გაურიცხავად შეუჩერა, ხოლო მომდევნო თვეს ორგანიზაციიდან სრულად გარიცხა.

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყება გარდამტეხი აღმოჩნდა ეუთოს სპეციალური სადამკვირვებლო მისიისთვის. მისიის მიერ 2022 წლის 24 თებერვალს წარდგენილი ანგარიში 43/2022 ადასტურებდა უკრაინაში რუსეთის მიერ სრული სპექტრის საომარი მოქმედებების დაწყებას. იმავე წლის 31 მარტს მოსკოვის პრინციპული პოზიციის გამო უკრაინაში გაეროს სპეციალური სადამკვირვებლო მისია დასრულდა.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ანალიზი ცხადყოფს, რომ ინსტიტუციური ლიბერალიზმის თეორიის მომხრეთა რწმენა, გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების საკვანძო როლთან დაკავშირებით შესაძლოა გადაჭარბებული იყოს. ,,ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხებმა, მტკიცედ გადავწყვიტეთ მომავალ თაობებს თავიდანა ვაცილოთ ომის საშინელი შედეგები, რომლებმაც ჩვენი სიცოცხლის მანძილზე ორჯერ მოუტანა კაცობრიობას ენით აღუწერელი მწუხარება''(გაერო 1993, 1). სწორედ ამ სიტყვებით იწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი საბაზისო დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება აქტორთა თანასწორობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთგულების, ჰუმანურობის დაცვის და ტერიტორიული ხელშეუხებლობის

პრინციპებს. უკრაინაში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით გაეროს მექანიზმების დღემდე არაეფექტური ფუნქციონირების ასახსნელად, საჭიროა ორგანიზაციის პროცედურული, სამართლებრივი და სტრუქტურული მოწყობის სპეციფიკის ანალიზი.

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დადგენილებებს, ბიუჯეტის საკითხების გარდა, არ გააჩნია სავალდებულო ძალა. ეს გარემოება მას მეტად შეზღუდულ ინსტრუმენტად აქცევს კრემლის საგარეო პოლიტიკური ქცევის დინამიკაზე ეფექტური ზემოქმედებისთვის. მართალია, გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისთვის, თუმცა გაეროს ქარტიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობა – სწორედ უშიშროების საბჭოს პროცედურული მოწყობის სპეციფიკაში ირღვევა. საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი სარგებლობს ვეტოს უფლებით, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ნებისმიერი რეზოლუციის მიღებას, რომელიც მათ ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება. სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით ვერ ხერხდება უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის მიღება.

ხალხთა შორის თანასწორობის, აღებული ვალდებულებების ერთგულების, წევრთა მიერ კავშირის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებისგან თავის შეკავების და ურთიერთმხარდაჭერის პრინციპებს ეფუძნება ევროკავშირი. მიმდინარე კონფლიქტის დარეგულირებაში ევროკავშირის როლის ანალიზი კი მიუთითებს, რომ ორგანიზაციამ დღემდე ხელჩასაჭიდ შედეგს ვერ მიაღწია. რუსეთისთვის დაკისრებული ეკონომიკური სანქციები ვერ გახდა ის მექანიზმი, რომელიც აგრესორს აიძულებს დაუბრუნდეს კონსტრუქციულ გარემოს. რიგ შემთხვევაში კი თავად ორგანიზაციის შიგნითაც იკვეთება აზრთა სხვადასხვაობა, რაც კონსენსუსს კიდევ უფრო ართულებს და ასუსტებს რუსეთის მიმართ ევროკავშირის შემაკავებელი ბერკეტების ეფექტურობას.

გრძელვადიანი მშვიდობის მისაღწევად სამართლიანობის პრინციპების დაცვის აუცილებლობის, კანონის უზენაესობის, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის და აქტორთა შორის თანამშრომლობის განმტკიცების მნიშვნელობაზეა საუბარი ევროპის საბჭოს ფუძემდებლურ დოკუმენტში. ფაქტია, რომ რუსეთი 1996 წლიდან აღნიშნული ორგანიზაციის წევრი იყო. მიუხედავად ამისა, გაერთიანებას არ აღმოაჩნდა ქმედითი მექანიზმი, ერთი წევრის მიერ, მეორე წევრის მიმართ განხორციელებული აგრესიის აღსაკვეთად.

გაეროს წესდების VIII თავის შესაბამისად შექმნილი ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანები ფოკუსირებულია ევროპის კონტინენტზე განვითარებული კრიზისების მართვასა და საომარი კონფლიქტების პრევენციაზე. სახეზეა, რომ ეუთო 2014 წლიდან იყო ჩართული კონფლიქტის დარეგულირების პროცესში და ცდილობდა დაპირისპირებულ მხარეთა შორის მედიატორის როლი შეესრულებინა . თუმცა, რაიმე პოზიტიურ დინამიკაზე, რომელიც დადებითად აისახებოდა კონფლიქტის მიმდინარეობაზე საუბარი ზედმეტია.

ამრიგად, ფაქტების ერთობლიობა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდასაჭერად უდიდესი შრომა გაწიეს, მაგრამ ყოველივე ამას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. ორგანიზაციებს ხელთ არ აღმოაჩნდათ იმ წონის მექანიზმი, რომელიც რუსეთის მსგავს დიდ ძალას საკუთარ მიზნებზე უარის თქმას აიძულებდა. განვითარებული მოვლენების დინამიკა ერთის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციების ფუნდამენტურ ამოცანებს და ხელთ არსებულ შესაძლებლობებს შორის სერიოზული დისპროპორციის განცდას ტოვებს, ხოლო მეორეს მხრივ, რუსეთის, როგორც დიდი ძალის სწრაფვას რეგიონული ჰეგემონობისკენ რაციონალურ ახსნას უძებნის.

დასკვნა

სტატიაში გამოყენებული ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთისთვის ნატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების პერსპექტივა ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოშობს. კრემლი, როგორც საერთაშორისო სისტემის რაციონალური მოთამაშე უპირატესობას ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპებს და ფარდობით მოგებაზე ორიენტირებულ მიდგომას ანიჭებს. ის, როგორც რევიზიონისტული ძალა, ცდილობს დასახული მიზნების შესაბამისად გადასინჯოს მსოფლიო წესრიგი. უგულებელყოფს მორალურ პრინციპებს და საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ცდილობს მიაღწიოს რეგიონულ ჰეგემონიას, რათა უსაფრთხოდ იგრძნოს თავი. ამისთვის ის მუდმივად ამოწმებს (ცდის) საერთაშორისო სისტემას და ცდილობს გაარკვიოს რამდენად ,,შორს წასვლის'' უფლებას მისცემენ მას სხვა მოთამაშეები. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ შესწევთ უნარი ეფექტურად დაუპირისპირდნენ რუსეთის მსგავს დიდ ძალებს. ერთის მხრივ, ორგანიზაციების პროცედურული მოწყობის სისტემის სპეციფიკა, მათ ხელთ არსებული სამართლებრივი ბერკეტების თავისებურება და გაერთიანებებს შიგნით არსებული აზრთა სხვადასხვაობა, ხოლო მეორეს მხრივ, დიდი ძალების მიერ,

საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის უნარი საერთაშორისო ორგანიზაციებს გლობალურ სისტემაში ერთობ ლიმიტირებულ აქტორებად აქცევს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბზეჟინსკი, ბზიგნევ. 2014. *დიდი საჭადრაკო დაფა.* თბილისი: არტანუჯი.

Calmes, Jackie. 2007. ,,Mccain Sees Something Else in Putin's Eyes''. 16 October, 2007. The Wall Street Journal. http://www.wsj.com/articles/BL-WB-3322. (წვდომა 24.03.2023).

Charap, S. and Colton, T. 2016. *Everyone Loses: The Ukraine Crisis and the Ruinous Contest for Post-Soviet Eurasia.* London: International Institute for Strategic Studies.

Kovalev, Andrei. 2017. *Russia's Dead End: An Insider's Testimony from Gorbachev to Putin.* Lincoln: Nebraska Press.

Kelley, Donald. 2016. *Russian Politics and Presidential Power: Transpormational Leadership from Gorbachev to Putin.* Los Angeles: CQ Press.

Parliamentary Assembly. 2014. Reconsideration On Substantiv grounds of The Previously Ratified Credentials Of The Russian Delegation. Strasbourg: Council of Europe. http://bitly.ws/FPhG. (წვდომა 15.04.2023).

TOAL, GERARD. 2017. *NEAR ABROAD: PUTIN, THE WES, AND THE CONTEST OVER UKRAINE AND THE CAUCASUS.* New York: Sheridan books.

TCG. 2014. Protocol on the results of consultations of the Trilateral Contact Group with respect to the joint steps aimed at the implementation of the Peace Plan of the President of Ukraine, P. Poroshenko, and the initiatives of the President of Russia, V. Minck: TCG. https://www.peaceagreements.org/viewmasterdocument/1363. (წვდომა 14.04.2023).

Watson, Bob. 2007. ,,Putin's Speech: Back to Cold War?''. 10 February, 2007. Munich: BBC NEWS. http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6350847.stm. (წვდომა 17.04.2023).